2016 წლის პირველი კვარტლის

ანგარიში

2016 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა ოთხი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის. სულ გადამზადდა 224 მსმენელი. აქედან 56 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 168 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი: 224 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო **146 ქალი** და **78 მამაკაცი.**

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი: **35 წლამდე - 137 მსმენელი; 50 წლამდე - 66 მსმენელი; 65 წლამდე - 21 მსმენელი.**

2016 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სერთიფიკატის სამი კატეგორია, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **8 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **155 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **53 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **8 მსმენელი;**

მსმენელთა გამოკითხვის ფორმების (224-დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 212 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. **ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:**

   ძალიან კარგი - 174 მსმენელი; **82 %**

   დამაკმაყოფილებელი - 38 მსმენელი; **18 %**

   არადამაკმაყოფილებელი - 0.

2. **მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:**

   ძალიან წარმატებული - 112 მსმენელი; **52.8 %**

   წარმატებული - 98 მსმენელი; **46.2 %**

   წარუმატებელი - 2; **1 %**

3. **მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:**

   ნორმალური - 165 მსმენელი. **77.8 %**

   ხანგრძლივი - 11 მსმენელი; **5.1 %**

   ხანმოკლე - 36 მსმენელი; **16.9 %**

4. **მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:**

   აუცილებელია - 165 მსმენელი. **77.8 %**

   საჭიროა - 47 მსმენელი; **22.1 %**

   არ არის საჭირო - 0 მსმენელი;

5. **ტრენინგის მოდულს:**

   არაფერს დავამატებდი - 144 მსმენელი; **67.9 %**

   განვავრცობდი - 53 მსმენელი (ძირითადი მოთხოვნა, პრაქტიკუმის განვრცობაა, კაზუსები); **25 %**

   თავი შეიკავა (არ შეავსო) – 15 მსმენელი. **7 %**

6. **ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:**

   კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - 140 მსმენელი; **66 %**

   კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - 63 მსმენელი; **29.7 %**

   არაკვალიფიციურად არის შედგენილი - 9. **0.4 %**